N 235 17/12/2015

ოქმი #32
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2015 წელი, 16 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი
14.00 – 16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კვერღელიძე, ლ. საჯაია, გ. ჩავლეშვილი, ტ. არუშიძე, ე.გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. კილაძე, თ. ბურჭულაძე, ვ. ვადაჭკორია, ა. გოგოძე, ბ. ღლონტი.
საზოგადოებრივი დარბაზის წევრი - თ. მარშანიშვილი.
მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-გ. მამაკაიშვილი.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებს და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (15.11-15.12)
მომხს: დ. დარჩია
თანამომ: გ. ჩავლეშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (15.11-15.12)
მომხს: დ. დარჩია
თანამომ: ე. გორდელაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (15.11-15.12)

მომხს: დ. დარჩია

თანამომ: ტ. არუშიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (15.11-15.12)

მომხს: დ. დარჩია

თანამომ: ლ. საჯაია

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (15.11-15.12)

მომხს: დ. დარჩია

თანამომ: დ.ჭაკნელიძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (20.09-15.12)

მომხს: დ. დარჩია

თანამომ: თ.ბურჭულაძე

7.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხს:დ.დარჩია

თანამომხ: გ.მამაკაიშვილი

ბიუროს წევრებმა მოისმინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა მიერ მიმდინარე წლის 15-ნოემბრიდან 15-დეკემბრამდე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის 20- სექტემბრიდან 15-დეკემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიშები; აღინიშნა, რომ როგორც კომისიებს ასევე ფრაქციასაც მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული საანგარიშო პერიოდში, როგორც მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემატური საკითხების გადაჭრის ღონისძიებების მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად დასახვაში.მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გ. მამაკაიშვილმა, ბიუროს წევრებს დეტალურად მოახსენა მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ-დ.დარჩიამ და თავმჯდომარის მოადგილემ დ. კვერღელიძემ კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს დაავალა მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე კომისიებსა და ფრაქციებში დეტალურად განიხილონ მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის

გამგეობის მიერ წარმოდგენილი, შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებული, პროექტი და წარმოადგინონ წინადადებები.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა 2015 წლის15-ნოემბრიდან 15-დეკემბრამდე და ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს 20- სექტემბრიდან 15-დეკემბრამდე გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმომქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე კომისიებსა და ფრაქციებში დეტალურად განიხილონ მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი, შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებული, პროექტი და წარმოადგინონ წინადადებები.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო